

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

12.11.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის მდივანი;

ნინო დობორჯგინიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საბჭოს მდივანი;

მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

თამარ გამსახურდია - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ლაშა გოცირიძე - ა(ა)იპ - ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;

ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

ზაზა რუხაძე - შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ვეკუა - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

ნ. თბილისი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენლები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან გორგეზიანი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი;

გიორგი თურქია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი;

პაატა ბრეკაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი;

დიმიტრი ჯაფარიძე - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

კახაბერ კორმაია - რექტორი;

მარინა გედვეანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჩუბინიძე - კანცლერის მოადგილე;

სესილი გოგიბერიძე - სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

თეიმურაზ ქორიძე - რექტორი;

თამარ ტუფინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია თორდია -

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, აკრედიტაციის დებულების 28⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები აკრედიტაციის საბჭო ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ამ საბჭოს თავმჯდომარით ან მისი თანხმობით, საბჭოს სხვა წევრით. შესაბამისად საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ელიზბარ ელიზბარაშვილი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე); ლევან გორგეზიანი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი); პაატა ბრეკაშვილი (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი) და გიორგი თურქია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი).

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

6. ოქტომბერი
2017

- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა სააპელაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2018 წლის 3 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1064452) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 11 ივლისის №77 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. სააპელაციო საბჭომ 2018 წლის 06 სექტემბრის №11 გადაწყვეტილების შესაბამისად, განხილვაში მიიღო შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარი. ამავდროულად აღსანიშნავი იყო, რომ შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტს 2018 წლის 08 ოქტომბრის №78 გადაწყვეტილების შესაბამისად, უარი ეთქვა ავტორიზაციის მინიჭებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან დაწესებულება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აღარ ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, აღარ არსებობს დაწესებულების მიერ ცენტრში სააპელაციო საბჭოსადმი შემოტანილი №1064452 სააპელაციო საჩივრის განხილვის და წარმოების ჩატარების საფუძველი. აქედან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობდა საბჭოს წინაშე, რომ სხდომის დღის წესრიგს დამატებოდა საკითხი შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის განახლებული დღის წესრიგი.

- შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
- შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპლეაციო საჩივრის განხილვა;
- შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2018 წლის 3 სექტემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1064452) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 11 ივლისის №77 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ. სააპელაციო საბჭომ 2018 წლის 06 სექტემბრის №11 გადაწყვეტილების შესაბამისად, განხილვაში მიიღო შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარი. ამავდროულად აღსანიშნავი იყო, რომ შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტს 2018 წლის 08 ოქტომბრის №78 გადაწყვეტილების შესაბამისად, უარი ეთქვა ავტორიზაციის მინიჭებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან დაწესებულება კანონდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აღარ ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, აღარ არსებობს დაწესებულების მიერ ცენტრში სააპელაციო საბჭოსადმი შემოტანილი №1064452 სააპელაციო საჩივრის განხილვის და წარმოების ჩატარების საფუძველი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს სააპელაციო საბჭოს დამსწრე წევრებმა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმედები - 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს შპს ევრორეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის №1064452 სააპელაციო საჩივარზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა ისაუბრა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის შესახებ. კერძოდ, 2017 წლის 29 დეკემბერს დაწესებულებამ სააკედიტაციოდ ცენტრში წარმოადგინა ბიზნესის ადმინისტრირების მოდიფიცირებული სადოქტორო პროგრამა, რომელიც შეფასებული იქნა ახალი სტანდარტების მიხედვით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2018 წლის 24 მაისს. პროგრამა უნივერსიტეტში ხორციელდებოდა 2012 წლიდან, სტუდენტების პირველი მიღება განხორციელდა 2013-2014 სასწავლო წლიდან, დისერტაცია წარმატებით ჰქონდა დაცული 8 დოქტორანტს, მათი დისერტაციები შემოწმებული იქნა პლაგიატის პროგრამის მეშვეობით და აღსანიშნავი იყო, რომ არცერთ ნაშრომში არ დაფიქსირებულა პლაგიატთან დაკავშირებული პრობლემა. პროგრამაში ჩართული იყო 3 აკადემიური და 19 ასოცირებული პროფესორი, საჭიროების შემთხვევაში მათ შეეძლოთ საბჭოსთვის გადაეცათ მონაცემები მათი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად მხოლოდ მეორე და მეოთხე სტანდარტი იყო შეფასებული მეტწილი შესაბამისობის მიხედვით, დანარჩენი პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც სტანდარტან სრულ შესაბამისობაში მყოფი. დასკვნაში ასახული რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებას ჰქონდა იმედი რომ პროგრამას მიენიჭებოდა აკრედიტაცია, თუმცა დადგა საპირისპირო შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- დაზუსტებული უნდა ყოფილიყო სასწავლო კურსის „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ სწავლის შედეგები;
- დაწესებულებას სასწავლო გეგმაში უნდა გაეთვალისწინებინა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების სწავლება;
- დაწესებულებას უნდა გაეზარდა არჩევითი კურსების რაოდენობა და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე შეეთავაზებინა დოქტორანტებისათვის არჩევითი სასწავლო კურსები;

ნ.ორგზ.ჭ

- დაცული დისერტაციები გადამოწმებული უნდა ყოფილიყო პლაგიატზე და მომავალში დისერტაციები დაცვაზე დაშვებული ყოფილიყო მხოლოდ მათი პლაგიატზე შემოწმების შემდგომ;
- განხორციელებულიყო ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში;
- გადახედილი ყოფილიყო სასწავლო კურსების: „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები“ - 2011, „კვლევა და ანალიზი“ - 2011, „განათლების მენეჯმენტი“ - 2011, „სამეცნიერო კვლევის მეთოდები“ - 2009, „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ - 2011 სავალდებულო ლიტერატურა და ასახულიყო მასში თანამედროვე კვლევები და ტენდენციები.
- მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას შიდა გამოცდების საშუალებით სეერჩია ისეთი დოქტორანტები რომელთაც ნამდვილად უდასტურდებოდათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
- დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი აფილირებული პროფესორების ჩართვა, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე თავად იყვნენ ჩართული კვლევით პროექტებში ან ეწეოდნენ კვლევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით პრობლემა მდგომარეობდა პირველი სტანდარტის 1.2 და 1.3 კომპონენტებში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით 1.2 კომპონენტის აღწერილობით ნაწილში აღნიშნული იყო, რომ სადოქტორო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, მეტწილად უზრუნველყოფდა დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას. პროგრამაში აღწერილი იყო, რომ პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგებოდა 60 კრედიტისაგან, ხოლო 120 კრედიტი იყო სამეცნიერო კომპონენტისათვის განკუთვნილი. სასწავლო კომპონენტი მოიცავდა აკადემიურ წერას, სამეცნიერო კვლევის მეთოდებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს. თითოეულს ენიჭებოდა 5 კრედიტი. ასევე გათვალისწინებული იყო პროფესორის ასისტენტობა 15 კრედიტი და თემატური სემინარები 10 კრედიტი. 5 კრედიტი ეთმობოდა არჩევით სასწავლო კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღების წინაპირობაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამაზე ჩაირიცხებოდა სტუდენტი, რომელსაც ექნებოდა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია. აღნიშნული შეზღუდვა დადგენილი იყო იმ მიზნით, რომ უნივერსიტეტი არ იყო ორიენტირებული რაოდენობაზე და მნიშვნელობა ენიჭებოდა ხარისხს. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტს უნდა გაეხსნა მიღების წინაპირობა და სხვა სპეციალობის სტუდენტებსაც უნდა ჰქონოდათ საშუალება ჩაეხარებინათ სადოქტორო პროგრამაზე. აღნიშნულს დაწესებულება არ იზიარებდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ განსხვავებული პროფესიის ადამიანი, მაგალითად კონსერვატორიის კურსდამთავრებული ვერ შეძლებდა სადოქტორო პროგრამაზე სწავლას. აღნიშნული მიღების წინაპირობის შეზღუდვის დაწესება ასევე არ იკრძალებოდა კანონით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ არჩევითი საგნების ბლოკში დაწესებულებამ გადაწყვიტა შეეტანა თანამედროვე საგანი „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“. აღნიშნული სილაბუსის ავტორი გახლდათ პროფესორი

კახაბერ ჯაყელი, რომელიც არსებული მომენტისათვის აღარ იყო მათი უნივერსიტეტის პროფესორი. აღნიშნულ სილბუსში 2 საათი გახლდათ სალექციო დატვირთვისთვის განკუთვნილი, მითითებული იყო სავალდებულო ლიტერატურა, ერთი საათი ეთმობოდა სამუშაო ჯგუფში მუშაობას. სამუშაო ჯგუფში პროფესორმა მისთვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების ფარგლებში გადაწყვიტა შემოეტანა მსოფლიოში ცნობილი მაკენზის კომპანიის სტატიები. აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც აღნიშნულ პროგრამას განიხილავდა აკრედიტაციის საბჭო სხდომაზე გაუღერებულ იქნა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მაკენზის კომპანიაში სავარაუდოდ დოქტორები არ მოღვაწეობდნენ. აღნიშნული მოსაზრების გასაბათილებლად დაწესებულების წარმომადგენელს მომზადებული ჰქონდა მათ მიერ ჩატარებული კვლევა სტატიების ავტორებთან დაკავშირებით საიდანაც ირკვეოდა რომ 12 სტატიის ავტორი გახლდათ დოქტორის ხარისხის მატარებელი. მაკენზის სტატიები შერჩეული იყო ყველა იმ სპეციალობის მიხედვით რაც გათვალისწინებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაში საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა). აღნიშნული სტატიებით სამუშაო ჯგუფში მეცადინეობის განხორციელება სილაბუსის ყოფილი ავტორისათვის გახლდათ ნაცადი მეთოდი, როდესაც ის ევროპის ერთ-ერთ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს მაკენზის სტატიების გამოყენება გახლდათ მნიშვნელოვანი კომპონენტი და თავად უნივერსიტეტმა უზრუნველყო მისთვის სრული წვდომა აღნიშნულ სტატიებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად არ იყო მითითებული რომ სადოქტორო პროგრამაში რომელიმე კომპონენტი არ იყო ვალიდური. აღსანიშნავი იყო, რომ სადოქტორო პროგრამაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევითი კომპონენტი. თავად წარმომადგენელი 2016 წლიდან აქტიურად იყო ჩართული კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შემუშავებაში. საუბარი იყო კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული 120 კრედიტის ერთჯერადად მინიჭებაზე. რეკომენდაციის თანახმად დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს დააზუსტა სწავლის შედეგები, რომელიც მანამდე წარმოდგენილი იყო გამსხვილებული სახით. თუმცა, როგორც ჩანს მათ მიერ წარმოდგენილი პოზიცია გათვალისწინებული არ იყო.

რაც შეეხებოდა 1.3 კომპონენტს, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში ფიქსირდებოდა, რომ პრობლემა იყო აკადემიურ წერასთან დაკავშირებით. სხდომაზე აღნიშნული იყო, რომ აკადემიური წერის ფარგლებში სტუდენტებს ასწავლიდნენ განცხადების წერას. დაწესებულება არ ეთანხმობა აღნიშნულ მოსაზრებას. სილაბუსში გათვალისწინებული 9 საშინაო დავალება. პირველ დავალებაში სტუდენტს უნდა დაეწერა განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, მისი საკვლევი თემის აქტუალურობის დადასტურების მიზნით. სამწუხაროდ საბჭოს სხდომაზე სრულად არ იყო წაკითხული განმარტება და გაედორებული იქნა მხოლოდ ამონარიდი „სტუდენტმა უნდა დაწეროს განცხადება“, რის შემდგომაც დაწყებული იქნა მსჯელობა იმის თაობაზე რომ სტუდენტი სადოქტორო საფეხურზე სწავლობდა განცხადების წერას. ასევე სხვა საშინაო დავალებების მიხედვით ნათელი იყო რომ სტუდენტი შეიძენდა უნარს გამართულად დაეწერა სადისერტაციო ნაშრომი.

ნ.ორბეგია

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანი „განათლების მენეჯმენტი“ გახლდათ არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამაში გათვალისწინებული იქნა დოქტორანტების გამოკითხვის შედეგად. აღნიშნულ საგანთან მიმართებით, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გაიმართა დისკუსია თუ რატომ ისწავლებოდა აღნიშნულ საგანში დიპლომის დანართის შევსების წესი. დიპლომის დანართის შევსების წესი გახლდათ ერთი სალექციო თემა. სასწავლო კურსის შედეგი ითვალისწინებდა, რომ დოქტორანტი შესაძლოა დასაქმებულიყო მენეჯერის პოზიციაზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისად მას უნდა ჰქონოდა დიპლომის დანართის შევსების უნარი. რაც შეეხებოდა კურსს „სწავლების თანამედროვე მეთოდები“, სილაბუსში ლიტერატურის ჩამონათვალი გახლდათ ვრცელი, შეტანილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმა. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. სილაბუსის ავტორის განმარტებით, შესაძლებელი იყო დოქტორი დასაქმებულიყო სკოლაში და მას აუცილებლად უნდა სცოდნოდა ეროვნული სასწავლო გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების სწავლებას. მისი განცხადებით აღნიშნული კვლევის მეთოდების სწავლება გათვალისწინებული იყო სამეცნიერო კვლევით მეთოდებში, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად ცენტრში წარმოადგინა სილაბუსი, სადაც დამატებული იყო აღნიშნული კვლევის მეთოდები, თუმცა რეგულაციის თანახმად აღნიშნული დოკუმენტი გათვალისწინებული არ იქნა.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას არჩევითი სასწავლო კურსების გაზრდასთან დაკაშირებით დოქტორანტის კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, დაწესებულება არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას ვინაიდან უნივერსიტეტი ვერ შექმნიდა არჩევით კურსებს თითოეული დოქტორანტის კვლევის სფეროდან გამომდინარე, თუმცა სილაბუსში რომელიც მოიცავდა მაკენზის კომპანიის სტატიებს ჩადებული იყო ბიზნესის ადმინისტრირების ყველა მიმართულება და სფერო.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას დისერტაციების პლაგიატზე გადამოწმების შესახებ, უნივერსიტეტში პირველი დისერტაცია დაცული იქნა 2016 წელს. უნივერსიტეტი მკაფრად აკონტროლებდა საბოლოო დაცვამდე დისერტაციის მისვლის პროცესს. მომზადებულ დისერტაციაზე დასკვნას წერდა დოქტორანტის ხელმძღვანელი, დასკვნა იწერებოდა ერთი შიდა და ერთი გარე ექსპერტის მიერ, იწერებოდა ორი რეცენზია რეცენზენტების მიერ და მხოლოდ ამის შემდგომ თუ ყველაფერი იქნებოდა წესრიგში დისერტაცია შესაძლებელია ყოფილიყო დაცული. სადისერტაციო საბჭოში გათვალისწინებული იყო 5 წევრი, 2 გახლდათ მოწვეული და საბჭო ასევე ყოველთვის დაკომპლექტებული იყო დარგობრივი ექსპერტებით. დღევანდელი მდგომარეობით ყველა დისერტაცია გადამოწმებული იყო პლაგიატზე. საბჭოს თვამჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ელიზბარ ელიზბარაშვილს, რომელიც 2018 წლის 11 ივლისს ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომას, რომელზეც შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

ნ. თბილისის
უნივერსიტეტი

ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება გახლდათ ერთსულოვანი, გადაწყვეტილება განპირობებული იყო სამი ძირითადი ფაქტორით. სადოქტორო პროგრამის ღერძი გახლდათ აკადემიური პერსონალი და მათი კვალიფიკაცია რაც პირველ რიგში იზომებოდა მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებით. წარმოდგენილი პროფესურიდან მხოლოდ სამ ან ოთხ პროფესორს ჰქონდა გამოქვეყნებული სტატია ბოლო წლების განმავლობაში, რაც გახლდათ მნიშვნელოვანი ხარვეზი. დოქტორანტის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო აქტიური მეცნიერი, რომელიც პერმანენტულად გამოაქვეყნებდა სტატიებს. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ სილაბუსში, კურსოდ ლიტერატურაში აუცილებლად ყოფილიყო მითითებული სამეცნიერო უურნალი, რომელიც მუდმივად ექვემდებარებოდა განახლებას და შესაბამისად პროფესორს არ მოუწევდა პერამანენტულად სილაბუსის განახლებაც.

რაც შეეხებოდა მაკენზის კომპანიის სტატებს და მათ გამოყენებას სწავლის პროცესში, ელიზბარ ელიზბარაშვილის განმარტებით, საბჭოს ერთსულოვანი მოსაზრებით აღნიშნული სტატიები არ იყო მისაღები აკადემიური სექტორისათვის. მათი სტატიები არ ატარებდნენ სამეცნიერო სტატიის რეგალიას. რაც შეეხებოდა უშუალოდ სადოქტორო ნაშრომებს, საბჭოს სხდომაზე ექსპერტების მიერ აღინიშნა რომ მათი შესრულება არ იყო სრულყოფილი და მათ ჰქონდათ გარკვეული შენიშვნები თეზისებთან მიმართებით.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა ასევე განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო დაწესებულების პასუხი აკადემიური წერის კურსში რატომ იყო განცხადების წერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი პირადი მოსაზრებით დოქტორანტურაში აკადემიური წერის სწავლება არ იყო რელევანტური, თუმცა თუ იყო მისი სწავლების აუცილებლობა, ასეთ შემთხვევაში აკადემიური წერის კურსში დოქტორანტს უნდა ესწავლა, თუ როგორ გაეფორმებინა სამეცნიერო ნაშრომი, როგორ გამოეკვეთა სიახლე, მიეთითებინა ციტირება, როგორ მოეძებნა ლიტერატურა და ა.შ. მისი მოსაზრებით, პროგრამა საჭიროებდა მოდიფიცირებას და საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინება სასურველი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ სტანდარტის მიხედვით სტატიის გამოქვეყნების სავალდებულო ვადა წარმოადგენდა 5 წელიწადს. მას აინტერესებდა რის საფუძველზე იყო შეფასება გაკეთებული ბოლო 4 წელზე. მან მიმართა აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელს დაწესებულსტებინა აღნიშნული გარემოება.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯვლება სავარაუდოდ შეისწავლა აკადემიური პერსონალის და სადოქტორო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების პირადი საქმეები და დაადგინა, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში მათ არ ჰქონდათ აქტივობა სამეცნიერო კვლებით. საუბარი არ იყო სტანდარტთან შესაბამისობაზე, ექსპერტი ასახავდა არსებულ გარემოებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამა ცენტრში შეტანილი ჰქონდათ 2017 წლის 29 დეკემბერს და ხელმძღვანელობდნენ ძველი სტანდარტების მოთხოვნებით. შესაბამისად აკადემიურ პერსონალს მოეთხოვებოდა ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული შრომები. მიუხედავად აღნიშნულისა დაწესებულება მოერგო ახალ სტანდარტს და 2018 წლის მაისში ექსპერტებთან და ცენტრის წარმომადგენელთან გადააგზავნა განახლებული პირადი საქმეები. მას ასევე თან ჰქონდა იმ

6. თემურ გურგაშვილი


ოთხი პროფესორის რეზიუმე, რომელიც ექსპერტებმა გადაამოწმეს ადგილზე ვიზიტის მიმდინარეობისას. ოქტომბერში ფიქსირდებოდა, რომ საუბარი იყო 6 პროფესორზე, რომელიც მათთვის გაუგებარი იყო. მისი მოსაზრებით, არ შეიძლებოდა ექსპერტს ვიზიტის დასრულების შემდგომ დასკვნაში აესახა ისეთი მონაცემები რომლის გადამოწმებაც მას ადგილზე შეეძლო. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა მხოლოდ ოთხი პროფესორის პირადი საქმე, რომელიც დაუყონებლივ მიაწოდეს. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ექსპერტს დაეზუსტებინა რომელ 6 პროფესორზე იყო საუბარი რაზეც მას პასუხი არ გაუცია.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა ელიზბარ ელიზბარაშვილს, შენიშვნების მიუხედავად თავად პროგრამა იმსახურებდა თუ არა პირობით აკრედიტაციას. პრაქტიკაში იყო შემთხვევები როდესაც პროგრამას ჰქონდა ნაწილობრივ შეუსაბამობები, მაგრამ მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. აღნიშნულ შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება მისთვის უცნაური იყო. საბჭოს შენიშვნები მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არა გადაწყვეტი.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭო მოქნილად იყენებდა პირობითი აკრედიტაციის მექანიზმს, როდესაც პროგრამას ჰქონდა გარკვეული ხარვეზები. პირობითი აკრედიტაცია ასევე გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც პროგრამაში ხარვეზები შეინიშნებოდა არა საწყის ეტაპზე არამედ ცოტა მოგვიანებით. აღნიშნულ პროგრამაში ხარვეზები იყო სასწავლო კურსებთან, რომელიც ისწავლებოდა პირველივე სემესტრში, პრობლემა იყო კონცეპტუალურ საკითხებზე ჩაეთვალათ თუ არა მაკენზის კომპანიის სტატიები ვალიდურად თუ არა.

საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, მისი შთაბეჭდილებით მაკენზის კომპანიის სტატიები დამატებით მასალად იყო წარმოდეგნილი სილაბუსში. მას აინტერესებდა დაწესებულებას საერთოდ რომ არ ჰქონდა წარმოდეგნილი აღნიშნული სტატიები როგორი იქნებოდა აკრედიტაციის საბჭოს განწყობა პროგრამის მიმართ. ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში კვლევის სტრატეგია აგებული იყო მაკენზის კომპანიის სტატიებზე.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ საუბარი იყო სრულ სასწავლო კომპონენტებზე და არა რამოდენიმე სილაბუსზე, ასევე კვლევით კომპონენტზე. 60 კრედიტით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსი - აკადემიური წერა, რომელზეც საბჭოს წევრებს ჰქონდათ კრიტიკა იმის თაობაზე, რომ არ იყო სადოქტორო საფეხურის შესაბამისი. ასევე აღსანიშნავი იყო სამეცნიერო კვლევის მეთოდები, რომელზეც დაწესებულება აცხადებდა, რომ ასწავლიდა, როგორც რაოდენობრივ ასევე თვისებრივ კვლევის მეთოდებს, თუმცა ძირითად ლიტერატურაში მითითებული ორი სახელმძღვანელო გახლდათ აღნიშნული დარგის შესავალი და შეესაბამებოდა საბაკალავრო დონეს. გარდა ამისა პირველი და მეორე თემატური სემინარის შინაარსი სილაბუსში არ იყო წარმოდგენილი. რაც შეეხებოდა მაკენზის კომპანიის თემას, მისთვის ცნობილი იყო თუ რას წარმოადგენდა აღნიშნული კომპანია. კომპანია არ ქმნიდა აკადემიურ ნაშრომებს და მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიები არ წარმოადგენდნენ სამეცნიერო სტატიებს მიუხედავად იმისა, მათ ავტორებს ექნებოდათ თუ არა აკადემიური ხარისხი. აღნიშნული სტატიები



წარმოადგენდნენ ეგრეთ წოდებულ ბლოგებს, მათი შინაარსი გამომდინარეობდა პირადი მოსაზრებებიდან. შესაბამისად უნივერსიტეტს დოქტორანტისათვის უნდა ესწავლებინა სამეცნიერო ნაშრომიდან. შეჯამების სახით მოცემული 60 კრედიტიდან არცერთი კრედიტი არ იყო სადოქტორო დონის ვინაიდან მითითებული ლიტერატურა წარმოადგენდა შესავალ ნაწილს ხოლო სადაც არ იყო ლიტერატურა მოცემული იყო ბლოგები.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ უმჯბესი იქნებოდა თუკი საბჭოს სხდომას და ესწრებოდნენ ექსპერტებიც, ვინაიდან მირითადი ინფორმაცია მომდინარეობდა მათგან. ოქმში იკვეთებოდა გარკვეული უზუსტობები და მისი მოსაზრებით სახეზე იყო ოქმის შედგენის პრობლემა, ვინაიდან გარკვეული საკითხები რომელზეც ისაუბრა ელიზბარ ელიზბარაშვილმა არ იყო სათანადო ასახული აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ პრობლემად წამოწეული იყო თუ რატომ ისწავლებოდა დიპლომის დანართის შედგენა. მისი მოსაზრებით, დიპლომის დანართი გახლდათ სერიოზული პრობლემა, ვინაიდან დამსაქმებელი სათანადოდ არ კითხულობდა დიპლომის დანართს. მას აინტერესებდა დიპლომის დანართის არსებობა ან არ არსებობა სილაბუსში რას დააკლებდა ან შემატებდა პროგრამას. მისი მოსაზრებით ოქმში არ იყო რეზიუმეს სახით წარმოდგენილი ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ოქმში არ იყო ასახული ის მოსაზრება რომ ექსპერტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა პროფესორების კომპეტენციას. შესაბამისად ბოლო 4 წლის განმავლობაში სამეცნიერო გამოქვეყნებების არარსებობაც უკავშირდებოდა აღნიშნულ ფაქტორს. ასევე დიპლომის დანართთან დაკავშირებით თუ რატომ იყო ის სილაბუსში, უნდა სცოდნოდა თუ არა მისი შედგენა დოქტორანტს, გადამწყვეტი იყო ეხმიანებოდა თუ არა ზოგადი სურათი არსებულ სტანდარტს და იყო თუ არა თემატურად თავსებადი სადოქტორო პროგრამისათვის. პროგრამაში არ იყო მითითებული მნიშვნელოვანი საუკეთესო სამეცნიერო წყაროები, სტატიები და ჟურნალები დარგების მიხედვით იქნებოდა ეს მარკეტინგი, მენეჯმენტი თუ ფინანსები მაშინ როდესაც სთავაზობდნენ განათლების მენეჯმენტის სილაბუსს, რაც ნაკლებად იყო მნიშვნელოვანი. პროგრამით წარმოდგენილი შინაარსი არ იყო სამეცნიერო ხასიათის.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რომ ოქმის გაფორმება არ იყო შესაბამისი და არ იყო გარემოებები სათანადო ასახული.

საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ მისთვისაც სასურველი იყო, თუკი ექსპერტებიც და ესწრებოდნენ საბჭოს სხდომას, ვინაიდან მისი შეკითხვების ადრესატი იყო უმეტესწილად ექსპერტი ვინც შეიმუშავა დასკვნა. ელიზბარ ელიზბარაშვილის მიერ აღნიშნული იყო, რომ ექსპერტმა ვიზიტის განმავლობაში შეისწავლა დაცული დისერტაციები და მივიდა დასკვნამდე რომ მეთოდოლოგია იყო ბუნდოვანი. მას აინტერესებდა ერთ დღეში რამდენი დისერტაციის შესწავლა მოახერხა ექსპერტმა სიღრმისეულად, რომ აღმოჩინა მსგავსი ხარვეზები. ასევე მან აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტის არწერილობის შინაარსი არ იყო თანმიმდევრული ვინაიდან მოიცავდა ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას.

ნ. თბილისის უნივერსიტეტი

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრები ცალსახად ვერ ისაუბრებდნენ ექსპერტების ნაცვლად, ხშირად ყოფილა, რომ თავად საბჭოს წევრები არ ეთანხმებოდნენ და მსჯელობდნენ ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე.

საბჭოს წევრმა, მარინე ჩიტაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განაცხადა, რომ მათ დოკუმენტაციაში წარმოდეგნილი პქნდათ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი პლაგიატზე შემოწმების თაობაზე. წერილის შინაარსი მისთვის იყო ბუნდოვანი იმტკიმ რომ გულიხმობდა ორ დისერტაციას, რომელიც იყო ერთი და იგივე, ხოლო ტექსტში მოცემული იყო, რომ დისერტაცია გახლდათ ატვირთული დოკუმენტი, რომელიც იმეორებდა იმას რაც მოცემული იყო დისერტაციაში. მას აინტერესებდა საუბარი იყო ორ სხვადასხვა დისერტაციაზე თუ ერთ პიროვნებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგულისხმებოდა ერთი პიროვნება რომლის დისერტაცია ატვირთული იყო და გადამოწმების დროს დაემთხვა თავისივე სადისერტაციო ნაშრომს. წერილი იმის შესახებ თუ რა რაოდენობით იყო დამთხვევა გადაეცა დოქტორანტს და ხელმძღვანელს გაკეთდა შედარება და დადგინდა, რომ ადგილი არ პქნდა პლაგიატს.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი დისერტაციები დაცული იყო 2016, 2017 და 2018 წლებში. აღნიშნული დისერტაციების ხელმძღვანელები არცერთი აღარ იყო პროგრამის მონაწილე. მას აინტერესებდა, რატომ აღარ იყვნენ აღნიშნული პირები ჩართული პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული სამი დისერტაციის ხელმძღვანელი, რომელიც ამავე დროს გახლდნენ მათი პროფესორები, კადემიური პოზიცია ეკავათ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშიც. მას შემდეგ რაც საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მკაცრად დააყენა აფილირების საკითხი აღნიშნულ პირებს მოუწიათ მათთან თანამშრომლობაზე უარის თქმა. დაწესებულების წარმომადგენელი ასევე გამოეხმაურა იმ განცხადებას რომლის თანახმად ექსპერტმა ვიზიტის დროს გადამოწმებული სადისერტაციო ნაშრომებიდან აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ სადისერტაციო ნაშრომი არ შეესაბამებოდა მოთხოვნილ სტანდარტებს. როგორც აღინიშნა უნივერსიტეტი მკაცრად აკონტროლებდა კვლევითი კომპონენტის შესრულების პროცესს, ასევე დაუჯერებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც ერთი დღის განმავლობაში ვიზიტის დროს დღის წესრიგის მიხედვით ესწრებოდა ინტერვიუებს სხვადასხვა ჯგუფებთან როგორ მოახერხა სადისერტაციო ნაშრომის სრულფასოვნად შემოწმება. ასევე მალიან ცუდი ფაქტი იყო ის, რომ მან არ დაასახელა თუ რომელი სტუდენტის დისერტაციაზე იყო საუბარი. რაც შეეხებოდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმს, ის ზუსტად ეხმაურებოდა იმ მოსაზრებებს და მსჯელობებს, რაც ფიქსირდებოდა სხდომის მიმდინარეობის დროს. პიროვნება, რომელიც ადგინდა ოქმს გახლდათ საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ვინაიდან მას მალიან სწრაფად უწევდა ჩაენიშნა სხვადასხვა მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიცია და ასევე მას სრული სიზუსტუთ უნდა აესახა საბჭოზე ნახსენები თითოეული ფრაზა. შესაბამისად ყველა საკითხი განხილული იქნა საბჭოს სხდომაზე. რაც შეეხებოდა მაკენზის კომპანიის მიერ შემუშავებულ სტატიებს, ეს არ იყო ბლოგები და ამავე დროს არ იყო სამეცნიერო სტატიის შინაარსის მატარებელი, საუბარი იყო კონკრეტულ სიტუაციურ ანალიზებზე, სახელმწიფოს



მიერ კონკრეტული შეკვეთების შესრულების ანალიზზე და კველვაზე დაფუძნებული, რომელიც ლექტორის მიერ გამოყენებული იყო თავისი პრაქტიკიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ განაცხადა, რომ გაეცნო სილაბუსით განსაზღვრულ ყველა სტატიას, მათი მოცულობა ხშირ შემთხვევაში იყო ორი ან ერთი გვერდი, შინაარსობრივად წარმოდგენილი ბლოგის სახით, რაც ნამდვილად არ იყო რელევანტური და ზოგიერთ სილაბუსში მითითებული იყო ერთადერთ სავალდებულო ლიტერატურად როგორც სალექციო ასევე ჯგუფური მუშაობის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან გამომდინარე მათ მიაჩნდათ, რომ პროგრამას ეკუთვნოდა პირობითი აკრედიტაცია სამომავლო განვითარების და გადამოწმების მიზნით.

17:30 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:00 საათზე.

საბჭოს თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28²-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით პროგრამა განსახილველად უბრუნდებოდა აკრედიტაციის საბჭოს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ დაწესებულების მოსაზრებებს. თავის დროზე, დაწესებულებას, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი უნდა ჰქონოდა უფრო დეტალური არგუმენტაცია იმისათვის, რომ პროგრამას მინიჭებოდა აკრედიტაცია. მათი მოსაზრებით, შესაძლებელი იყო რომ აკრედიტაციის საბჭოს კიდევ ერთხელ ემსჯელა განხილულ საკითხზე.

ნ. ოქონიშვილი

3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა უნივერსიტეტის ტელევიზიას მოეხდინა სხდომის მიმდინარეობის ასახვა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს თანახმა იყვნენ თუ არა დაწესებულებას განეხორციელებინა სხდომის მიმდინარეობის ფირზე ასახვა. საბჭოს წევრმა, მარინე ჩიტაშვილმა განაცხადა, რომ საბჭო იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა შუამდგომლობას თუ არ მოხდებოდა ჩანაწერის მონტაჟი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ასევე მიმართა ცენტრს განეხორციელებინა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩანაწერის განხორციელება. საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს წარმოდეგნილ შუამდგომლობას. შუადმგომლობა ერთხმად იქნა გაზიარებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 2018 წლის 21 მაისს დაწესებულებაში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. უნივერსიტეტმა მიიღო დასკვნის პროექტი და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ითხოვდნენ თითოეული სტანდარტის და ქვესტანდარტის შეფასებების დასაბუთებას და რეკომენდაციების არგუმენტირებას. იქედან გამომდინარე რომ არ არსებობდა აკრედიტაციის სახელმძღვანელო და როდესაც შეფასება ხდებოდა ოთხ დონიანი შეფასების სისტემით მათი მოსაზრებით ექსპერტთა მიერ გამოთქმული თითოეული რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და არგუმენტირებული. აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები მიხედვით რეკომენდირებული იყო, რომ უნდა გაუმჯობესებულიყო ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის მუშაობა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების მაღალი ხარისხი; გატარებულიყო ღონისძიებები კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის, ასევე საგარეო ურთიერთობის საქმინაობის გასაძლიერებლად.

ნ. თბილისის
უნივერსიტეტის
სამართლო

აღნიშნული საკითხები წებისმიერი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ეფექტიანობის შესრულება მათი რესურსის არსებობა იყო ავტორიზაციის ექსპერტთა პრეროგატივა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2018 წლის 31 ივლისს, 1 და 2 აგვისტოს უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და არცერთი სტრუქტურული ერთეულის მუშაობა და სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის კვალიფიკაცია არ დამდგარა ეჭვის ქვეშ ექსპერტების მხრიდან. ასევე, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის თანახმად, რეკომენდირებული იყო გაზრდილყო ძალისხმევა და სტუდენტებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და მათთვის დაწესებულები შეზღუდვების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტს ჰქონდა ეთივის კოდექსი რომელიც ატვირთული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ზოგადად ხელმისაწვდომი იყო ყველა დაიონტერესებული პირისათვის ასევე აღნიშნულთან დაკავშირებით მუდმივად ტარდებოდა შეხვედრები.

დასკვნის თანახმად, რეკომენდირებული იყო გატარებულიყო ღონისძიებები საუნივერსიტეტო კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელად, მათი კომპეტენციების ასამაღლებლად სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობდენ ავტორიზაციის სტანდარტს და იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელსაც უნივერსიტეტი წარადგენდა საავტორიზაციო განაცხადთან ერთად. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა სამეცნიერო მუშაობის სტრატეგია და წესი ახალგაზრდების ჩართულობის თაობაზე, მათთან ფუნქციონირებდა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი და რეალურად არცერთი შიდა საგრანტო პროექტი არ განხორციელებულა სტუდენტთა ჩართულობის გარეშე. ყოველივე აღნიშნული გახლდათ ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნა. ასევე, დასკვნის მიხედვით, რეკომენდირებული იყო სტუდენტებს გაცნობდათ მათი ინიციატივების და დაფინანსების გზები. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული გახლდათ გაწერილი და განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 25 ივლისს ჩატარდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, საბჭოს გადაწყვეტილებით ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე და უარის საფუძვლად დასახელებულ იქნა 1.2 და 1.3 ქვესტანდარტთან შეუსაბამობა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის მიხედვით 1.2 კომპონენტი შეფასებული იქნა ნაწილობრივი შესაბამისობით ხოლო 1.3 კომპონენტი მეტწილი შესაბამისობით. 1.2 კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური წერის სილაბუსის გადამუშავებას, აკადემიური წერის თაობაზე იმდენჯერ შედგა საუბარი საბჭოს სხდომაზე თითქოს ფილოლოგიის პროგრამის განხილვა მიმდინარეობდა და თავად აკრედიტაციის საბჭოს წევრებისგანაც იქნა დასმული შეკითხვა აღნიშნულის თაობაზე. რეკომენდაცია ასევე ეხებოდა არჩევითი კურსების სწავლის შედეგების დაკონკრეტებას და მათ ასახვას პროგრამაში. რეალურად პროგრამის შედეგებს განაპირობებდა პროგრამის სავალდებულო კურსები, არჩევითი კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევდა ფორმირება მოეხდინა ინდივიდუალური პროფილის. რეკომენდაცია ეხებოდა ასევე პრაქტიკის ობიექტებს. უნივერსიტეტს უნდა უზრუნველყო სტუდენტებისათვის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტები. უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმები სასტუმროებთან, ტურისტულ კომპანიებთან და რესტორნებთან. რეალურად პრაქტიკა მოიცავდა სამ სხვადასხვა ობიექტს და ხდებოდა სტუდენტების

6. თემატიკური

როტაცია და პრაქტიკის ანგარიშის დაცვა. უნივერსიტეტი არ ეხებოდა ექსპერტთა კომპეტენციას, თუმცა ყურადღება გამახვილებულ იქნა მათ გულგრილ დამოკიდებულებაზე. საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს, რომელიც ასრულებდა საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას 2018 წლის 25 ივლისის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე ისუაბრებდა აკრედიტაციის საბჭოს წევრი გიორგი თურქია, ხოლო თავად მოკლედ ისაუბრებდა თავის შთაბეჭდილებაზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე არსებულ განხილვასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოსთვისაც გარკვეულწილად არ იყო მისაღები ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ზოგიერთი რეკომენდაცია, თუმცა აღნიშნული რეკომენდაციები გახდა საფუძველი ჩაძიებოდნენ გარკვეულ საკითხებს, რაც აკრედიტაციის სხდომის ოქმში დეტალურად იყო ასახული. საბოლოოდ, საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახლდათ ის, რომ 1.2 და 1.3 კომპონენტში სადაც ექსპერტების შეფასება იყო მსუბუქი, საბჭოს წევრებმა დაინახეს სერიოზული პრობლემები. აღსანიშნავი იყო, ის რომ ოქმი ასახავდა იმ ინფორმაციას რაც გამოვლენილი იყო უშუალოდ განხილვის დროს, ხოლო ცალკეული არგუმენტაცია თუ ცალკეულმა საბჭოს წევრმა რატომ და როგორ მიიღო გარკვეული გადაწყვეტილება ოქმში ვერ იქნებოდა ასახული. შესაძლებელი იყო ოქმიდან არ დარჩენილიყო მკაფიო შთაბეჭდილება რა გხდა გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, თუმცა ოქმში აისახა თუ როგორ შეფასდა გარკვეული პუნქტები, რის საფუძველზეც დადგა კონკრეტული შედეგი და პროგრამას არ მიეცა აკრედიტაცია. ბევრი საკითხი დეტალურად იქნა მოსმენილი და ამის შემდეგ მთლიანობაში საბჭოს შექმნა გარკვეული შთაბეჭდილება. ცოტა რამ იყო დეტალიზებული რაც ეხებოდა დარგობრივ საგნებს, დისკუსიაში გამოჩნდა ისეთი გარემოებები, რაც დასკვნაში არ იყო წარმოდეგნილი. შექმნა შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ ფრაგმენტს მოწვეული სპეციალისტები უძლვებოდნენ პრატქიკულად რაც არ იყო პროგრამაში შესაბამისად აღწერილი, ამავე დროს პროგრამა არ იყო სრულფასოვანი და შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით წარმოდგენილი. პროგრამა ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ერთი სფეროს ვიწრო დარგის კარგ სპეციალისტს ამზადებდა.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო დამსწრე საზოგადოებისათვის აეხსნა ის ლოგიკა თუ რითი იხელმძღვანელეს საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილების მიღების დროს. ის პრობლემას დაყოფდა სამ ნაწილად. პირველი პრობლემა გახლდათ ორგანიზაციული საკითხები, მეორე პრობლემა გახლდათ პრაქტიკის ობიექტების საკითხი ხოლო მესამე - პროგრამის შინაარსობრივი საკითხი. რაც შეეხებოდა ორგანიზაციულ საკითხს, პროგრამა ფუნქციონირებდა 2011 წლიდან და საბჭო განხილვის დროს ფაქტიურად შევიდა ჩიხში, როდესაც განხილვის დროს ვერ გაირკვა თუ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავდა პროგრამას და რამდენი კურსი იყო ზოგადად პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც იყო აღნიშნულის თაობაზე გაეთხებული ჩანაწერი, როდესაც მათაც გაუჭირდათ დაზუსტებული ინფორმაციის მიღება აღნიშნულის თაობაზე დაწესებულებისაგან. აკრედიტაციის საბჭომ ვერ დაინახა ახალ და ძველ პროგრამას შორის ფუნდამენტალური განსხვავება, რაც უნივერსიტეტს უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანდა სწავლების ხარისხის თვალსაზრისით და სტუდენტებისათვის იქნებოდა წინ გადადგმული ნაბიჯი. რაც შეეხებოდა პრაქტიკის ნაწილს, აკრედიტაციის საბჭოს ოქმშიც ფიქსირდებოდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი ორი პიროვნება საუბრობდნენ

ნ. თემუშევა

სასტუმროებსა და რესტორნებში პრაქტიკის შესახებ, რაც მისასალმებელი იყო, თუმცა საბჭოს სხდომაზე პრობლემა შეიქმნა იმ საკითხზე, რომ პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა ბაკალავრების ევოლუციას, მოყვანილი იყო მაგალითები, რომ სტუდენტები იმუშავებდნენ ოფიციანტებად და სასტუმროს მიმღებში, რაც გარკვეულწილად ასევე მისასალმებელი იყო, თუმცა არ ჩანდა პრაქტიკის ევოლუცია. უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გაუჭირდათ პასუხი გაეცათ შეკითხვაზე თუ რა იქნებოდა მათი საბოლოო პროდუქტი, სად დასაქმდებოდნენ მომავალში კურსდამთავრებულები. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ასევე დაწესებულების მიმართ დასმული იქნა შეკითხვა თუ რა განსხვავება იქნებოდა ტურიზმის მაგისტრის კვალიფიკაციის მქონესა და ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტებს შორის. აღნიშნული ორი საკითხი გახლდათ საკვანძო პრობლემური საკითხი საბჭოს წევრებისათვის. რაც შეეხებოდა შინაარსობრივ ნაწილს, პროგრამაში თვალნათლივ უნდა ყოფილიყო აღწერილი თუ ვის ამზადებდა პროგრამა. ტურიზმი გახლავთ ინტერდისციპლინური სფერო, შესაბამისად უნდა დაკონკრეტებულიყო კურსდამთავრებული იქნებოდა ტურიზმის პოლიტიკის სფეროში მომუშავე პირი თუ ოპერაციების დონეზე დაკავებული ადამიანი, რომელიც იმუშავებდა რესტორნებში, სასტუმროებში და ა.შ. პროგრამა არ იძლეოდა ამის მკაფიო გამიჯვნას.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ ასევე განაცხადა, რომ პროგრამაში მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი პრაქტიკული სიტუაციური ანალიზები, ეგრეთ წოდებული „ქეისები“. პროგრამა მთლიანად აგებული იყო თეორიულ სწავლებაზე და არ იყო წარმოდგენილი უცხოური პრაქტიკის და ქართული მაგალითები. რაც შეეხებოდა მარკეტინგის სწავლების გაძლიერებას, უნივერსიტეტის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ გარავეული კრედიტების მოცულობით ისწავლებოდა მარკეტინგი და ვერ მოხდებოდა მისი გაძლიერება ვინაიდან დაირღვეოდა კრედიტების ბალანსი რაც მისთვის იყო მიუღებელი. მარკეტინგი ტურიზმში გახლდათ მთავარი მამოძრავებელი ძალა. რაც შეეხებოდა საგანს „ტურიზმის გეოგრაფია“, მისთვის გაუგებარი იყო რა ისწავლებოდა აღნიშნულ საგანში რადგან იგი არ პასუხობდა მის შინაარსს და აქცენტი კეთდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებზე, ქვეყნებზე განვითარების დონის მიხედვით და ა.შ. აღნიშნული იყო სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის საბაზისო საკითხები. მისი მოსაზრებით, საგანი „ტურიზმის გეოგრაფია“ აწყობილი უნდა ყოფილიყო ტურისტულ ნაკადებზე, რა იწვევდა ტურისტულ ნაკადებს ამა თუ იმ ქვეყანაში, რა იყო მოტივაცია და როგორ უწყობდა სახელმწიფო აღნიშნული ნაკადების გაზრდას ხელს. ასევე აღსანიშნავი იყო განხილვა საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით, მაგალითად ერთი საათი ეთმობოდა ბენელუქსის ქვეყნების და დიდი ბრიტანეთის განხილვას. მისი მოსაზრებით ბაკალავრის დონეზე ერთ საათში დიდი ბრიტანეთის სწავლება, რომელიც განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო ტურისტული მიმართულებების თვალსაზრისით წარმოუდგენელი იყო. პროგრამაში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ბიზნესის მნიშვნელოვანი საკითხები მაგალითად, მენეჯერული აღრიცხვა. მენეჯერული აღრიცხვა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანი, რომელიც უნდა ესწავლა ბაკალავრს, რომელიც გეგმავდა ტურიზმის საოპერაციო ნაწილში დასაქმებას, ვინაიდან ხარჯების დათვლა და პოტენციური შემოსავლის და მოგების ანალიზი მნიშვნელოვანი იყო. ასევე არ ისწავლებოდა ფინანსების საკითხები, ბიუჯეტირება, რაც წარმოუდგენელი იყო ტურიზმის მენეჯმენტში არ ყოფილიყო სტუდენტებისთვის რელევანტური. აღნიშნული არ გახლდათ მხოლოდ ამ უნივერსიტეტის პრობლემა, ვინაიდან მისი საბჭოში მოღვაწეობის მანძილზე განსახილველად წარმოდგენილ

6. ოქთიანი

არაერთ ტურიზმის პროგრამაში იკვეთებოდა მსგავსი პრობლემა. გიორგი თურქიამ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული პროექტების მართვის საგანი. თუ უნივერსიტეტი ირჩევდა სტრატეგიას მოემზადებინა ბაკალავრი, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ოპერაციების მართვაზე ტურიზმის მიმართულებით პროექტების სწავლება აუცილებელი იყო იქედან გამომდინარე, რომ ყველა ტურისტული ჯგუფი იყო ცალკე პროექტი, იქნებოდა ეს სასტუმროს თუ რესტორნის დონეზე. პროგრამაში არ იყო გამახვილებული ყურადღება ეკონომიკურ და ბიზნეს აზროვნებაზე, თუ როგორ ახერხებდა ესა თუ ის ქვეყანა ტურისტული რესურსების მონეტარიზაციას, მაგალითები მნიშვნელოვანი იყო მორგებული ყოფილიყო ქართულ რეალობაზე. მნიშვნელოვანი იყო თუ რა სტრატეგიას ატარებდნენ სხვადასხვა ქვეყნები. ასევე მნიშვნელოვანი იყო ყურადღების გამახვილება კულინარიულ ტურიზმზე, ვინაიდან საქართველოს ერთ-ერთი მამოძრავებელი ტურიზმის თვალსაზრისით იყო კულინარია. პოსტსაბჭოთა სივრცის წარმომადგენლები საქართველოს სტუმრობდნენ ძირითადად იმ კულინარიული ღირებულებებისათვის, რაც იყო საქართველოში.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სააპელაციო სარჩელის მიხედვით, აკრედიტაციის საბჭოს წევრები ითხოვდნენ პროგრამაში საგნების დამატებას, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. აკრედიტაციის საბჭოს წევრები ითხოვდნენ გარკვეულ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. მაგალითად, როგორიც იყო მიშელინის ვარსკვლავი და როგორ ხდებოდა მისი გამოყენება. როგორ იღებდნენ აღნიშნულ შეფასებას და რეიტინგს რესტორნები, რაც ტურიზმის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. აღსანიშნავი იყო ასევე სამედიცინო ტურიზმი, სადაც საქართველოს ჰქონდა დიდი პოტენციალი. პროგრამაში იყო ჩადებული საგანი „სამკურნალო ტურიზმი“ რაც უფრო მეტად გულისხმობდა კურორტოლოგიას, აქცენტი კეთდებოდა კურორტებზე. მნიშვნელოვანი იყო დაჯავშნის ოპერაციების სწავლება და უსაფრთხოების საკითხი. ასევე მნიშვნელოვანი იყო ტურიზმის მასპინძლობის კურსი, რაც კონცეპტუალურ შეხედულებას შეუქმნიდა სფეროზე სტუდენტს. ასევე 240 კრედიტის ფარგლებში სასურველი იყო სავნის მიზნიდან გამომდინარე კრედიტები გადანაწილებული ყოფილიყო მოქნილად და ყველა საგანს ერთნაირად არ ჰქონდა მინიჭებული 5 კრედიტი. აღსანიშნავი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან არ ხდებოდა უნივერსიტეტების კონტროლი. საბჭო უნივერსიტეტებს აძლევდა რეკომენდაციას, რომელსაც თუ კი გაითვალისწინებდნენ იქნებოდა სასარგებლო. საბჭოს მხრიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა უნივერსიტეტს დაეხვეწა პროგრამა და თავიდან წარმოედგინა მითუმეტეს, რომ პროგრამა წარმოდგენილი იყო, როგორც ახალი პროგრამა და არ ილახებოდა სტუდენტთა ინტერესები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმში აღნიშნული საკითხი გახლდათ ერთ-ერთი კარგად დასაბუთებული, რომელიც მას ჰქონდა წაკითხული, ვინაიდან კითხვა და პასუხი ბმაში იყო და ლოგიკურად იყო აზრი გადმოცემული.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ როგორც გიორგი თურქიას განცხადებებიდან იკვეთებოდა, აკრედიტაციის საბჭომ დაინახა პრობლემები ტურიზმის კონცეფციის, პოლიტიკის და მენეჯმენტის კუთხით, რამაც შექმნა ერთიანი ჯაჭვი. რაც შეეხებოდა უსაფრთხოებას და ჯავშანს, მისი აზრით, არ უნდა ყოფილიყო სადაო. ასევე ლოგიკური ჯაჭვის საბოლოო დასკვნა გახლდათ ის რომ არ იყო ნათელი თუ ვის ამზადებდა პროგრამა.

მას აინტერსებდა აღნიშნულთან დაკავშირებით რა განმარტება გააკეთა საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტში.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიაშ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით რთული იყო საქართველოში ეპოვნათ დამსაქმებლები განსაკუთრებით სასტუმროების კუთხით ვინაიდან ოპერირებდნენ უცხოური კომპანიები და ქართველ აბიტურიენტებს ნაკლებად ჰქონდათ შანსი დასაქმებისა. ადგილობრივი სტუდენტები მირითადად მუშაობდნენ ქვედა რგოლებზე და ამით შემოიფარგლებოდა მათი პრაქტიკა. უნივერსიტეტის საჩივარში აღნიშნული იყო, რომ რასაც ითხოვდა საბჭო უფრო მეტად ეხმაურებოდა პროფესიულ განათლებას რაც არ იყო სწორი იქედან გამომდინარე რომ რაზეც წარიმართა საუბარი არ ეხებოდა პროფესიულ განათლებას. უნივერსიტეტის პოზიცია არ იყო მიზანშეწონილი, როდესაც საუბარი იყო კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებაზე. უნივერსიტეტს სწორი მიმართულებით ფართო აზროვნების საშუალება უნდა მიეცა სტუდენტისათვის, რაც შემდგომ მის უნარებზეც იქნებოდა დამოკიდებული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საინტერესო პოზიცია მათ საბჭოს სხდომაზეც ჰქონდათ მოსმენილი, უნივერსიტეტი ავტორიზაცია- აკრედიტაციის პროცესს განიხილავდა, როგორც რეალურ თანამშრომლობას, რომელიც მიმართული იქნებოდა ინსტიტუციის განვითარებაზე. მათ მიაჩნდათ რომ როდესაც მათთან აკრედიტაციის ვიზიტი ხორციელდებოდა და ხდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასება, ექსპერტები გახლდნენ დარგის სპეციალისტები, თუმცა არცერთი ის საკითხი რაზეც ისაუბრა გიორგი თურქიამ მათ მიერ არ ყოფილა წამოწეული, რაც ნათლად ჩანდა დასკვალიც. მათი მოსაზრებით ხომ არ იქნებოდა უმჯობესი პირდაპირ აკრედიტაციის საბჭოს განეხილა სააკრედიტაციო დოკუმენტაცია და გაეცა რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ნანობაშვილმა, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ პრაქტიკა დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სამ ნაწილად, სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას ტურისტულ კომპანიაში, სასტუმროში და რესტორანში. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე წამოჭრილ იქნა საკითხი იმის თაობაზე რომ უნივერსიტეტი შეძლებდა ყველა სტუდენტის დაკმაყოფილებას. მიღება გამოცხადებული იყო 30 სტუდენტზე და იყო საუბარი რომ ვერ უზრუნველყოფდნენ პრაქტიკას ერთდღოულად 30 სტუდენტისათვის. ვიზიტზე მოწვეული იყვნენ დამსაქმებლები, შეხვედრას ესწრებოდა რესტორნის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა რომ პრაქტიკაზე მიიღებდა 10 სტუდენტს, თუმცა მათ ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმები სხვა რესტორნებთანაც, რომელთა წარმომადგენლები სამწუხაროდ ვერ დაესწრნენ შეხვედრას. ასევე აკრედიტაციის საბჭოს მიერ არ გამახვილდა აღნიშნულზე ყურადღება და შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს პროგრამა ამზადებდა რესტორნის სპეციალიტეს. დაწესებულებას ტურისტულ კომპანიაში პრაქტიკაზე ერთდღოულად 30 სტუდენტიც ჰყავდა გაზიარების თაობაზე დაღვიურებული ნახევარში - მეორე ჯგუფი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რამდენიმე საკითხში ვერ დაეთანხმებოდა გიორგი თურქიას. თავად წარმოადგენდა პრაქტიკის ხელმძღვანელს და

6. ოქთონიშვილი

ძალიან მოსწონდა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პრაქტიკა იმიტომ რომ, სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ ტურისტულ კომპანიაში „აღმოაჩინე საქართველო“ სადაც დეტალურად ხდებოდა პრაქტიკის ათვისება ტურისტული პროდუქტის შექმნა და გაყიდვა. ამავდროულად პროგრამაში ისწავლებოდა საგანი „ტურისტული მარშუტების პრექტირება“ და სტუდენტები დაჯავშნის სისტემაზე მუშაობით ახერხებდნენ ტურისტული ჯგუფების შექმნას. პროგრამაში ასევე ჩადებული იყო საგანი უსაფრთხოება ტურიზმში, სადაც ისწავლებოდა ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელი იყო სამოგზაურო ურთიერთობების დროს. ასევე ისწავლებოდა საგანი „მარკეტინგის საფუძვლები და ტურიზმის მარკეტინგი“. ისწავლებოდა საგანი „ტურისტული პროდუქტების გაყიდვის ტექნოლოგია“ და „რეკლამა ტურიზმში“. ხდებოდა ხოლმე რომ სილაბუსში იყო საკითხების თანხვედრა და ამას სტუდენტიც გრძნობდა. ის თავისებურება რასაც ტურისტული პროდუქტის შეფუთვას და გაყიდვას სჭირდებოდა სრულიად საკმარისი იყო ტურიზმის მარკეტინგის კურსისათვის. „სამკურნალო ტურიზმის“ საგანში ჩადებული იყო სამედიცინო ასპექტებიც, ველნესი, ბიოლი და ა.შ. „ტურისტულ გეოგრაფიაში“ ისწავლებოდა მსოფლიოს ექვსი ტურისტული რეგიონი და ამ საგანშივე იყო წარმოდგენილი ნაკადების ანალიზიც.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას არ გაუცია პასუხი მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა როგორი იყო წარმოდგენილი მენეჯმენტის ბლოკი, რომელიც მისი მოსაზრებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მენეჯმენტის ბლოკში წარმოდგენილი იყო მენეჯმენტის საფუძვლები, ტურიზმის მენეჯმენტი, მარშუტების მენეჯმენტი და ა.შ. ისწავლებოდა საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, ეკონომიკური საგნების სპექტრი, რაც მისი მოსაზრებით, სრულიად საკმარისი იყო. რაც შეეხებოდა კულინარიას, ის არ იყო ტურისტული პროდუქტის შემქმნელი შესაბამისად სრულიად საკმარისი იყო იმ დოზით რომლითაც ისწავლებოდა სარესტორნო მენეჯმენტის საგანში. უამრავი საგანი იყო, რომელიც პროგრამას დაიყვანდა პროფესიული პროგრამის დონემდე ამიტომ არ იყო საჭირო პროგრამაში ბევრი საგნის დამატება.

საბჭოს წევრმა, ლაშა გოცირიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ერთის მხრივ დაეთანხმა გიორგი თურქიას უსაფრთხოების საგნის აუცილებლობაზე, თუმცა მეორეს მხრივ პროგრამაში გათვალისწინებული იყო არჩევითი საგნის სახით, შესაბამისად მისთვის გაუგებარი იყო ეთანხმებოდნენ თუ არა ამ საგნის აუცილებლობას თუ არა. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ ბუღალტრული აღრიცხვა განსხვავდებოდა მენეჯერული აღრიცხვისაგან. ასევე საინტერესო იყო მათი მიდგომა დაჯავშნასთან დაკავშირებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაჯავშნას მოიცავდა რამდენიმე საგანი, რომელიც შემდგომ გამყარებული იყო პრაქტიკული კომპონენტით. უსაფრთხოების საგანი გახლდათ ახალი შემოსული და შესაძლებელი იყო ყოფილი არჩევითი საგნის სახითაც. პრობლემა იყო ასევე სამედიცინო ტურიზმთან დაკავშირებით, როდესაც ლექტორები ასწავლიდნენ საგანს, ასწავლიდნენ ექიმების კუთხით და ძალიან ჭირდა შესაბამისი ლიტერატურის მომიერა. გამოშვებული იყო რამოდენიმე რიდერი რაც სამედიცინო ასპექტებს მიმოიხილავდა ვიდრე ტურიზმს.

6. ოქთიანე

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სამედიცინო ტურიზმს არ ჰქონდა კავშირი კურორტთან. მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს სტრატეგია სამედიცინო ტურიზმის კუთხით იქნებოდა ეს ავიაბილეთებზე ფასდაკლება, ბიუჯეტური საცხოვრებელის შეთავაზება და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას აინტერესებდა საკითხი პროგრამის მდგრადობის შესახებ, რომელიც პირველ საკითხად იყო წამოწეული. ექსპერტები და საბჭოს წევრები საუბრობდნენ იმაზე რომ დაწესებულებას არ ჰყავდა აფილირებული პერსონალი რაც ეჭვის ქვეშ აყენებდა პროგრამის მდგრადობის საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მდგრადობას განაპირობებდა აკადემიური პერსონალი, მატერიალური რესურსი და ფინანსური რესურსი. მოცემული პროგრამა გახლდათ აბსოლუტურად მდგრადი, მის განხორციელებაში ჩართული იყო 7 აფილირებული პროფესორი, სამი აფილირებული ასოცირებული, ორი აფილირებული ასისტენტი, ექვსი ასოცირებული და რვა მოწვეული პროფესორი. ჩატარებული კონკურსის შედეგად უნივერსიტეტს დაემატა ერთი ასოცირებული და ერთი ასისტენტი პროფესორი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პირველ გვერდზე მოცემული იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისას გათვაისწინებული იყო ყველა ის ნაკლოვანი მხარე რაც ახასიათებდა მანამდე მოქმედ პროგრამას და შემცირებული იქნა ახალი პროგრამის წარმატებული განცხორციელების ხელის შემშლელი რისკები. მან ასევე აღნიშნა, რომ არცერთი საკითხი რომელიც წამოწეული იყო გიორგი თურქიას მიერ, დარგის ექსპერტების მიერ არ იყო აღნიშნული როგორც ვიზიტის დროს ასევე დასკვნის შინაარსში. დასკვნაში საუბარი იყო მხოლოდ ტურიზმის მენეჯმენტის კრედიტზე, ტურიზმის ეკონომიკასა და ტურზმის მარკეტინგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭო არ იყო შეზღუდული ექსპერტთა მიერ შემუშავებული დასკვნით და მას შეეძლო განხილვაზე გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე მიეღო გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცნობილი იყო, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე. საბჭოს მიერ გაცემული დამატებითი რეკომენდაციები იყო ძალიან საინტერესო, თუმცა მათი გათვალისწინების საკითხი არ დამდგარა ვინაიდან აკრედიტაციის საბჭომ უარი განაცხადა პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე. იმისათვის რომ პროგრამა განვითარებულიყო მას უნდა ჰქონოდა განხორციელების საშუალება.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ ის არ გახლდათ დარგის წარმომადგენელი თუმცა დეტალურად გაეცნო სააპელაციო საჩივარს და მასზე თანდართულ მასალას, მათ შორის პროგრამას და სილაბუსებს. აღსანიშნავი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს ოქმა მასზე დატოვა დადებითი შთაბეჭდილება, ვინაიდან სწორად იყო გააზრებული ყველაფერი, რაც ექსპერტების მიერ იყო წარმოდგენილი. თუ კი პროგრამაში მოხდებოდა რეკომენდაციების გათვალისწინება და ხელახლა წარდგენა ბაზარზე იქნებოდა საუკეთესო. მისი გადასახედიდან უნივერსიტეტი იყო ასევე ერთ-ერთი საუკეთესო. მისი რჩევა იყო

გაეთვალისწინებინათ მოსმენილი მოსაზრებები, მათ ჰქონდათ აღნიშნულის საშუალება, ასევე მათ შეეძლოთ სპეციალისტების მობილიზებაც. ექსპერტი ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც უნივერსიტეტს მოსწონდა, ხდებოდა მათი შერჩევა და მათ შეეძლოთ განეცხადებინათ აცილება.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მან მოისმინა ლექცია, აღნიშნულიდან ზოგიერთი მოსაზრება მისაღები იყო ხოლო ზოგი არა, თუ უნივერსიტეტს მიეცემოდა საშუალება შეიტანდნენ ცვლილებებს როგორც მოითხოვდა საქმე. მას სურვილი ჰქონდა მოკლედ ესაუბრა თუ რით იყო განპირობებული უნივერსიტეტის მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულება. მან აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განაცხადა რომ წლების მანძილზე „აკრედიტაციის ცენტრი“ ჩადიოდა უკანონო ქმედებას მათი უნივერსიტეტის მიმართ და ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს. წინასაარჩევნოდ მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ხელმძღვანელობდა თამარ სანიკიძე და ლაშა მარგიშვილი. უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, კერძოდ პროფესორებს და სტუდენტებს უნდოდათ ჭავჭავაძის ქუჩის გადაკეტვა, თუმცა მან პირადად მიმართა მათ თხოვნით რომ წინა საახლაწოლოდ არ დაეწყოთ არეულობა. თამარ სანიკიძე, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ცენტრს იყო მონაწილე უკანონო გეგმის, რომლის თაობაზეც მან განცხადებაც გააკეთა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. თამარ სანიკიძე ეწეოდა უკანონო მოღვაწეობას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მუშაობდა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში და ამას დაადასტურებდა გიორგი თურქია, რომელიც გახლდათ ამ ინსტიტუტის პროფესორი.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ის არ იცნობდა თამარ სანიკიძეს, ვინაიდან ის ამ ინსტიტუტში იყო დასაქმებული მანამდე სანამ ის დაიწყებდა მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ათი წუთი მისცემდა დაწესებულების რექტორს საშუალებას ესაუბრა, თუმცა ის რაზეც იგი საუბრობდა, არანაირ კავშირში არ იყო განსახილველ საკითხთან.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თამარ სანიკიძე აღარ ხელმძღვანელობდა ცენტრს მისი საქმეები ჯერ არ იყო დასრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ესაუბრა განსახილვევლ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში ჩატარებულ იქნა სხდომა, დაწესებულებას შეტანილი ჰქონდა სამი სარჩელი რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ცენტრი მუდმივად იყო მათ მიმართ ნეგატიურად განწყობილი. თამარ სანიკიძის შემდეგ მის უკანონო საქმიანობას ხელმძღვანელობდა მისი გამგრძელებელი ლაშა მარგიშვილი. დაწესებულება გეგმავდა ლაშა მარგიშვილის წინააღმდეგ პროკურატურაში შეეტანა სარჩელი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თაობაზე.

6. ოქტომბერი

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ლაშა მარგიშვილი არ იყო სააპელაციო საბჭოსთან კავშირში ვინაიდან საბჭოს გადაწყვეტილება იყო თავისუფალი და ლაშა მარგიშვილი ვერ მოახდენდა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე რაიმე სახის გავლენას.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ყველა უნივერსიტეტის მიმართ ცენტრს უნდა ჰქონოდა ერთიანი მიდგომა. ასევე ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ მათ მიმართ ჩაიდინა სიყალბე და მიიღო უკანონო გადაწყვეტილება. უცხოელი ექსპერტის მიერ მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება, რაც უკანონოდ იქნა შეცვლილი. ლაშა მარგიშვილის უკანონო ქმედება ფიქსირდებოდა ასევე სამართლის სადოქტორო პროგრამასთან მიმართებითაც, რომელსაც ასევე უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ მოსამართლე მაია ოშხარელი, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს წევრების განცხადებით იყო პრაქტიკოსი და ვერ იქნებოდა სათანადო ხელმძღვანელი და ასევე აპელირება მიდიოდა ნაშრომებზე, რომლის სტანდარტიც არ არსებოდა თუ რამდენი ნაშრომი უნდა გამოექვეყნებინა პროფესორს. რექტორმა განაცხადა, რომ პატივს სცემდა თავის სტუდენტებს და არაფერზე არ დაიხევდა უკან. უნივერსიტეტი ამზადებდა გადაცემას ცენტრის თანამშრომელთა უკანონო ქმედებზე, სადაც ისაუბრებდნენ მათ მიერ განხორციელებულ უკანონო საქმიანობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების რექტორს, რომ ცენტრს ჰყავდა ახალი ხელმძღვანელობა და აღნიშნულ საკითხებზე შეეძლო მიემართა მათთვის. სააპელაციო საბჭო არ იყო ვალდებული მოესმინა მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

19:30 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:50 საათზე.

საბჭოს თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28²-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს „შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №84-ე გადაწყვეტილება.

6. ოქთიანი

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრების მოსაზრებით, ზეპირ მოსმენაზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, ცალსახა იყო, რომ უნივერსიტეტის პროგრამა საჭიროებდა გადამუშავებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:55 საათზე.

თავმჯდომარე:
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი:
ნინო დობორჯგინიძე